პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 18 აგვისტო, 1944 წ. № 167 (7120). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ბოლშევიკურად განვახორციელოთ თბილისის კომიტეტის XII პლენუმის გადაწყვეტილება. მოწინავე (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 16-17 აგვისტოს ოპერატიული ცნობები (1-ლი გვერდი).

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის XII პლენუმი. (მე-2 გვერდი).

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

ი. პავლოვი. მოსპობის ბანაკი ლიუბლინში (1-ლი გვერდი).

უცხოეთის ამბები: საომარი მოქმედების ხმელთაოთა რეზზე მყოფი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობები. მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობები. ამერიკის ცნობა ქალაქების კანისა და ნიცის დაკავების შესახებ. ამერიკის ჯარებმა დაიკავეს შარტრი და ორლეანი. გერმანიის ავიაბაზების დაბომბვა. გაფიცვა კოპენჰაგენში. საომარი მოქმედება იტალიაში.

ბოლშევიკურად განვახორციელოთ თბილისის კომიტეტის XII პლენუმის გადაწყვეტილება

სტალინური ხუთწლედების განმავლობაში დიდი მუშაობა ჩატარდა საქართველოს დედაქალაქის—ჩვენი თბილისის მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობისათვის. განახლებული ქალაქის, მისი შესანიშნავი შენობებისა და თვალწარმტაცი ქუჩების, მისი საუცხოო ბაღებისა და მშვენიერი მოედნების დიდი არქიტექტორი და მშენებელი იყო ქართველი ხალხის საამაყო შვილი ამხანაგი ლავრენტი ბერია. სულ ხუთიოდე წლის განმავლობაში თბილისი გამშვენიერდა ბაღად ქცეული სანაპირო ქუჩით, თავრობის სასახლის გრანდიოზული შენობით, თანამედროვე პირველხარისხოვანი ჩელიუსკინელთა ხიდით, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალის მარმარილოს სვეტებიანი შენობით, სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების კეთილმოწყობილი პარკით; გაფართოვდნენ და გამწვანდნენ ცენტრალური და განაპირა ქუჩები, აღიმართნენ ასობით ახალი საცხოვრებელი შენობები. ქალაქი გამოიცვალა; განახლდა, გალამაზდა და მომხიბლველი გახდა.

თბილისის ბრლშევიკები მტკიცედ განაგრძობდნენ ამხანაგ ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით დაწყებულ დიად საქმეს. ქალაქს ემატებოდა სულ ახალ-ახალი საცხოვრებელი სახლები, დამთავრდა ცირკის საუკეთესო შენობის მშენებლობა, რეკონსტრუირებულ იქნა მთელი რიგი ქუჩები. ყოველ წელს თბილისის ქუჩებსა და ბაღებში ირგვებოდა 400-500 ათასი ახალი ხე. ასევე ხორციელდებოდა ბევრი სხვა ღონისძიება ქალაქის შემდგომი კეთილმოწყობისათვის.

სამამულო ომმა, რომელმაც მოითხოვა ჩვენი ქვეყნის მთელი ძალების მაქსიმალური დაძაბვა, თავისი გავლენა იქონია საქალაქო მეურნეობის განვითარებაზე. ომის პერიოდში ქალაქისა და რაიონული საბჭოების, თბილისის მთელი პარტიული ორგანიზაციის მთავარ ამოცანას შეადგენდა საქალაქო მეურნეობის დარგში მიღწეულ წარმატებათა შენარჩუნება. ამ მიმართულებით გაწეულია გარკვეული მუშაობა. ომის დროის სიძნელეების მიუხედავად, დამთავრდა ომამდე დაწყებული რამდენიმე საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ტარდებოდა და ტარდება ქალაქის საცხოვრებელი შენობების, ქუჩების, წყალსადენის, კანალიზაციის რემონტი.

მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, საქალაქო მეურნეობის ხაზით ჩატარებული მუშაობა არავითარ შემთხვევაში არ არის საკმაო.

საქალაქო მეურნეობის, კერძოდ საბინაო ფონდის გაუმჯობესების ღონისძიებებს მიეძღვნა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მორიგი პლენუმი, რომელიც 15 აგვისტოს შესდგა.

პლენუმმა ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა და გამოავლინა მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებანი საცხოვრებელი სახლების მოვლა-პატრონობის საქმეში.

რაში მდგომარეობენ ეს ნაკლოვანებანი?

კომუნალური მეურნეობის სისტემის 4.818 სახლიდან 400-მდე სახლი ამჟამად ავარიულ მდგომარეობაშია. შენობების უმრავლესობას სახურავი გაფუჭებული აქვს და წვიმა ჩადის. ამასთან რემონტისათვის გაღებული თანხები აუთვისებელი რჩება, ხოლო ზოგჯერ არადანიშნულებისამებრ იხარჯება. არ ეწევა ხელმძღვანელობა და კონტროლი რემონტზე მომუშავეებს, დაუგვარებელია საშენი მასალების დამზადება და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ავარიულ მდგომარეობაში მყოფი საცხოვრებელი სახლების უდიდეს უმრავლესობას სამორტიზაციო ვადა არ გასვლია და ისინი დაზიანებული და დეფორმირებული არიან მხოლოდ მოუვლელობით. სახლშიდა წყალსადენის და საკანალიზაციო ქსელის არასწორი ექსპლოატაციის გამო მილებიდან გამოდენილმა წყალმა გამოიწვია ფოსტის ქუჩაზე მდებარე № 2 სახლის ავარია: ეზოს საწვიმურის გაფუჭების გამო წვიმის წყალმა დაანგრია სამხედრო ქუჩაზე მდებარე № 6 ორსართულიანი შენობის კედლები; წყალსადენის გაფუჭებული მილიდან გამოსული წყლისგან დეფორმირებულია და დანგრევის კარზეა მიყვანილი ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე № 8 სახლი.

შენობების უდროო დაზიანებისა და დანგრევის თავიდან ასაცილებლად უპირველეს ყოვლისა საჭიროა ფართოდ გავშალოთ მასებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, განვუმარტოთ მოსახლეობას, რომ საბინაო ფონდი არის სახალხო საკუთრება, რომ მისთვის ზიანის მიყენება ეს არის ზიანის მიყენება ხალხისათვის. ყველამ უნდა იცოდეს, რომ საცხოვრებელი სახლის დანგრევა იწყება წყალსადენი ონკანის მოშლიდან, საწვიმურის, წყალსადინარი მილის, სახლშიდა კანალიზაციისა და წყალსადენი ქსელის გაფუჭების მომენტიდან. უნდა დავნერგოთ ბინებისადმი კულტურული დამოკიდებულების ჩვევები მოსახლეობაში, მოვაწყოთ საზოგადოებრივი კონტროლი, ავამოქმედოთ სანიტარული კომისიები და სანიტარული რწმუნებულები, გამოვყოთ ბინებისათვის პასუხისმგებლები და მჭიდროდ დავრაზმოთ ქალაქის მცხოვრებნი საბინაო ფონდის მოვლა-შენარჩუნების ამოცანების ირგვლივ.

მოსაწონი და მისაბაძი საქმე წამოიწყეს ბერიას და კიროვის რაისაბჭოებმა. მათ მოაწყეს მცხოვრებთა ძალებით ზოგიერთი სახლების შეკეთება, ქუჩების, ეზოებისა და სხვენების გაწმენდა. მაგრამ ამ შესანიშნავმა თაოსნობამ დღემდე ვერ ჰპოვა ფართო გასაქანი. საჭიროა ქალაქის საბჭოს აღმასკომი და რაისაბჭოები სათავეში ჩაუდგნენ მასების ამ მოძრაობას და ფართოდ ჩაბან მოსახლეობა ბინების, წყალსადენი და საკანალიზაციო ქსელის რემონტის ჩატარებაში, ეზოების კეთილმოწყობაში.

ბინების დროულად შეკეთება ეს არის ზრუნვა შენობის დაცვისათვის, ეს არის ზრუნვა სამშობლოს ადამიანების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ომის წლებში კაპიტალური რემონტისათვის გაღებული თანხის მხოლოდ 46-70 პროცენტს ითვისებდნენ სარემონტო კანტორები. რემონტის ხარისხი დაბალია, ამიტომ ხშირად საჭირო ხდება განმეორებითი შეკეთება.

მთლიანად და რაციონალურად ავითვისოთ რემონტისათვის ასიგნებული თანხები, ადგილობრივად მოვაწყოთ საჭირო სამშენებლო მასალების დამზადება, ტექნიკური ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაძლიერებით უზრუნველვყოთ რემონტის მაღალი ხარისხი, ვამხილოთ და სასტიკათ დავსაჯოთ საბინაო სამმართველოებისა და სარემონტო კანტორების სისტემაში მოკალათებული გაიძვერები და წამგლეჯები. ასეთია ამოცანა.

როგორც ყველგან, საბინაო მეურნეობის მოწესრიგების დარგშიც საქმის წარმატებას სწყვეტს ადამიანები, მათი სწორად შერჩევა და განაწილება. პლენუმზე გამოირკვა, რომ ადგილი აქვს სახლთმმართველთა კადრების დიდ დენადობას, დაბალია სახლთმმართველების ტექნიკური და პოლიტიკური მომზადების დონე. მაშასადამე, საჭიროა მეტი ყურადღებით და დაკვირვებით შევარჩიოთ სახლთმმართველთა კადრები, მოვაწყოთ მათი ტექნიკური სწავლება, განვტვირთოთ ისინი ისეთი დავალებებისაგან, რომლებსაც კავშირი არა აქვთ შენობების მოვლასთან.

პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა ღედაქალაქის ბოლშევიკებს საბინაო მეურნეობის გაუმჯობესებისათვის დაუსახა საბრძოლო პროგრამა. ამ პროგრამის განხორციელება, პლენუმის მიერ დასახულ ღონისძიებათა განუხრელად გატარება ჩვენი სახელისა და ღირსების საქმეა.

ჩვენი ქალაქი ჭეშმარიტად თვალწარმტაცია. კანონიერი სიამაყის გრძნობას ჰგვრის ყოველ თბილისელს რუსთაველის პროსპექტისა და სანაპირო ქუჩის განუმეორებელი სილამაზე. ბოლშევიკური მზრუნველობის ხელი დავამჩნიოთ ქალაქის მთელ მეურნეობას. გავაკეთოთ ისე, რომ, როგორც ამხანაგმა ჩარკვიანმა სთქვა თავის სიტყვაში, სიამაყის გრძნობას იწვევდეს ჩვენი თბილისის — ჩვენი ქალაქის ყოველი ქუჩა, ყოველი უბანი, ქალაქისა, რომელსაც ესოდენ დიდი შრომა და ენერგია მოახმარა ამხანაგმა ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ, ქალაქისა, სადაც აღიზარდა და ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციებს საფუძველი ჩაუყარა დიდმა ბელადმა და მხედართმთავარმა ამხანაგმა სტალინმა.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ნაჩხერის რაიონის ჯალაურთის სასოფლო საბჭოდან სოფელ წასარის გამოყოფისა და ჭიათურის რაიონის ნიგოზეთის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ.

გამოეყოს ნაჩხერის რაიონის ჯალაურთის სასოფლო საბჭოს სოფელ წასარი და მიეკუთვნოს იგი ჭიათურის რაიონის ნიგოზეთის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ფანტალაშვილი
1944 წ. 16 აგვისტო, ქ. თბილისი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

16 აგვისტოს ოპერატიული ცნობა

16 აგვისტოს განმავლობაში პეტსერის (პეჩორის) ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და ბრძოლებით დაიკავეს 70-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის პარმა, რახუშიაე, კირმსი, პია

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის XII პლენუმი

15 აგვისტოს შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის XII პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საკითხი „ქალაქ თბილისის საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. გ. ტოჩაშვილმა.

მომხსენებელმა მოიყვანა ციფრები დაფიქტები, რომლებიც მოწმობენ ომამდელ წლებში საბინაო მშენებლობის დიდ გაქანებას. მაგალითად, მარტო 1933-36 წლების განმავლობაში საექსპლოატაციოდ გადაცემულ იქნა 184.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ომმა ძლიერ შეამცირა საბინაო მშენებლობის მასშტაბი.

ამხ. გოჩაშვილი შეჩერდა ქალაქის საბინაო ფონდის საღრიცხვო ცნობების ძირითად მაჩვენებლებზე, დაახასიათა საცხოვრებელ სახლების ტექნიკური მდგომარეობა და აღნიშნა საბინაო მეურნეობის მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი.

არ სრულდება კაპიტალური რემონტის გეგმები, განსაკუთრებით ლენინისა და სტალინის რაიონებში, აგრეთვე ქალაქის საბინაო სამმართველოს ხაზით.

ნაკლოვანებანი ახასიათებენ მიმდინარე რემონტის საქმესაც. სათანადოდ მოწესრიგებული არ არის საცხოვრებელი ბინების სანიტარული მდგომარეობა, ელექტროგაყვანილობა, კანალიზაცია ქსელი და სხვ. სახლების მმართველები, როგორც წესი, სუსტად მუშაობენ, დიდი დენადობაა საბინაო სამმართველოების მუშაკთა კადრებში.

მშრომელთა დეპუტატების, საბჭოების საქალაქო და რაიონული აღმასკომები საკმაო ხელმძღვანელობას ვერ უწევენ საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და რემონტის საქმეს.

ცუდად არის დაყენებული ვითელი რიგი სამშენებლო მასალების დამზადებისა და შემოზიდვის საქმე. სულ ამ უკანასკნელ დროამდე საკმაო ყურადღება არ ეთმობოდა დეფიციტური მასალების შემცვლელთა ვამონახვას.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

პარტიის 26 კომისრის სახელობის რაიკომის მდივანმა ამხ. გაბუნიამ აღნიშნა, რომ რაიონული ორგანიზაციები ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ საბინაო მეურნეობის საკითხებზე, ხოლო თბილისის საბჭოს აღმასკომი ჯერჯერობით დახმარებას არ უწევს მათ. ამხ. გაბუნია ეხება სამშენებლო მასალებით მომარაგების საკითხს და წინადადება შემოაქვს — აღდგენილ იქნას ზოგიერთი სახის სამშენებლო მასალის წარმოება უშუალოდ 26 კომისრის სახელობის რაიონში.

სახლების ნაადრევად გაცვეთა-ნგრევის მიზეზთა ანალიზს მიუძღვნა ძირითადად თავისი სიტყვა ქალაქის საბინაო სამმართველოს უფროსმა ამხ. ხოჭორიმა. მაგრამ მან არსებითად ძალიან ცოტა რამ სთქვა, თუ ქალაქის საბინაო სამმართველო კონკრეტულად რას აკეთებს საბინაო ფონდის შესანარჩუნებლად.

სახლების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის დარგში მნიშვნელოვან ნაკლოვანებათა შესახებ ილაპარაკა პლენუმზე მშრომელთა დეპუტატების მოლოტოვის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ციოკიძემ. მას წინადადება შემოაქვს—გაფართოვდეს ადგილობრივი სამშენებლო მასალების, კერძოდ, კრამიტის წარმოება.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ანანიევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახლების ავარიულობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს გრუნტის წყლების ყინვა. მან წინადადება შემოიტანა—შეიქმნას ავარიული შენობების რემონტის სპეციალური ფონდი. საჭიროა აგრეთვე განტვირთულ იქნას ტრესტი „თბილისმშენი" მთელი რიგი სამეურნეოებისაგან, რათა ტრესტი მთავარ ყურადღებას უთმობდეს საბინაო მშენებლობას.

პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანმა ამხ. ქვლივიძემ გააცნო პლენუმს, თუ როგორ შესრულდა ორჯონიკიძის რაიონში სახლების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის გეგმები გასული ნახევარი წლის განმავლობაში. მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული ფრონტელთა ოჯახების ბინების წესრიგზე მოსაყვანად. ამხ. ქვლივიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა გაძლიერებულ იქნას დახმარება რაიონული ორგანიზაციებისადმი ვაკისა და საბურთალოს კომოსმწყობის საქმეში.

მშრომელთა დეპუტატების ლენინის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. თეფნაძემ გააკრიტიკა საქალაქო საბინაო სამმართველოს მხრივ რაიონის ორგანიზაციებისადმი არასაკმაო დახმარება. ადგილებზე საჭიროა შეიქმნას სარემონტო ბრიგადები, რომლებშიც შეეწევიან სხვადასხვა პროფესიის მუშები.

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი გ. თ. სტურუა, რომელიც პლენუმზე გამოვიდა, შეეხო საქალაქო მშენებლობის მთელ რიგ ძირითად საკითხებს. მან მოიყვანა სამშენებლო მასალების არარაციონალურად, მოუფიქრებლად გამოყენების, ცალკეული სახის სამუშაოთა უგეგმოდ შესრულების მაგალითები. ზოგჯერ საბინაო ორგანიზაციების მუშაკებს არ გააჩნიათ პასუხისმგებლობის გრძნობა. საჭიროა დაწვრილებითეულებულ იქნას სახლთმმართველობანი და სახლების მმართველთათვის შეიქმნას საბინაო მეურნეობის მდგომარეობით დაინტერესების სტიმული.

ამხ. სტურუა შეჩერდა სამშენებლო მასალების საკითხზე და აღნიშნა, რომ საჭიროა მაქსიმალური ინიციატივის გამოჩენა, მასალების გამონახვა ადგილბრივ, მთელი რესურსების მობილიზება.

ამხ. სტურუამ ილაპარაკა კადრების შესახებ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მათი დენადობის მიზეზს უწინარეს ყოვლისა წარმოადგენს სუსტი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. ამ მუშაობის გაჩაღებით პარტიულმა, საბჭოთა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ საბინაო მშენებლობა კვალიფიციური კადრებით. საქალაქო მეურნეობის ამ დიდმნიშვნელოვან დარგს ყოველდღიურად დიდი ყურადღება უნდა ეთმობოდეს.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა კადრების დარგში ამხ. ხატიაშვილმა აღნიშნა, რომ სახლების მმართველთა კადრები მეტ წილად ჯერ კიდევ არ შეეფერებიან თავიანთ დანიშნულებას. ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია სახლთმმართველობების მუშაკთა დენადობა. ამხ. ხატიაშვილმა ილაპარაკა კაპიტალური და მიმდინარე რემონტის მასალების შესახებ და შეჩერდა დამატებითი შინარესურსების გამონახვის საკითხზე.

იგი შეეხო აგრეთვე რემონტზე მუშაზელის შესანარჩუნებლად მთელ რიგ ღონისძიებათა ჩატარების საკითხს.

კაპიტალური რემონტის არაკეთილსინდისიერად ჩატარების ფაქტები მოიყვანა თავის სიტყვაში მშრომელთა დეპუტატების კიროვის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. სარქისოვ. სახლების მმართველთა უმეტესობა უპასუხისმგებლოდ მუშაობს. რაიონულმა ორგანიზაციებმა წლის პირველ ნახევარში კაპიტალური რემონტის გეგმა შეასრულეს 80 პროცენტით და მთლიანად შეასრულეს დავალება სამხედრო მსახურთა ოჯახების ბინების წესრიგზე მოყვანის დარგში.

საქართველოს სს რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარი ამხ. ბ. ბუკია შეეხო ვითელ რიგ სახლთმმართველობათა არარენტაბელობის საკითხს. სახლის მმართველები მხოლოდ პირდაპირი დანიშნულებით უნდა გამოვიყენოთ. საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და რემონტისათვის მუშაობამ ფართოდ უნდა ჩაგვბას საზოგადოებრივობა.

ამხ. ბუკია ლაპარაკობს მთელი რიგი სახლების ავარიულობის მიზეზებზე და შემოაქვს წინადადება—საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალურ განყოფილებასთან შეიქმნას სპეციალური აპარატი თბილისის მეურნეობის, კერძოდ, წყალსადენისა და კანალიზაციის ღონით შესასწავლად.

პლენუმზე სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა კ. ნ. ჩარკვიანმა.

— ამხანაგ ლ. პ. ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით,—ამბობს ამხ. ჩარკვიანი, — სტალინური ხუთწლედების მანძილზე უდიდესი მუშაობა სწარმოებდა თბილისის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობისათვის. მოკლე ვადებში შეიცვალა ჩვენი ქალაქის სახე: შეიქმნა სტალინის სახელობის სანაპირო, სტადიონი, პარკი მთაწმინდის ზემო პლატოზე, ქალაქის დიდი მოედანი, აგებულია მთელი რიგი ახალი საუცხოო შენობები — მარქსენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალის შენობა, ფიზიკულორის ზედაადგური, ასპინიანი კომბინატი და მრავალი სხვა საცხოვრებელი სახლი. აგებულ იქნა ნატახტრის წყალსადენი, ჩელუსკინელთა ხიდი და სხვ.

შემდგომ ომამდელ წლებში თბილისის ბოლშევიკები პირნათლად განაგრძობდნენ ქალაქის რეკონსტრუქციის საქმეს. მაგრამ ომიანობის დროის ვითარებამ მინიმუმამდე შეამცირა ახალი მშენებლობა. ძირითადი ამოცანაა—შეეკეთოთ, შეეინარჩუნოთ და დაეცვათ არსებული საბინაო ფონდი, ხელი შეეწყოთ მთელი საქალაქო მეურნეობის კულტურულად გაძღოლას.

მაგრამ ეს ამოცანა დამაკმაყოფილებლად ვერ სრულდება.

ამხ. ჩარკვიანი ეხება მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომთა მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებებს საბინაო მეურნეობის დარგში. არ არის საბინაო ფონდის ზუსტი აღრიცხვა. თბილისში 400-მდე სახლი ავარიულ მდგომარეობაშია ან მეტად უყურადღებოდ არის მიტოვებული. ამ სახლების დიდი უმეტესობა, ხაზგასმით აღნიშნავს ამხ. ჩარკვიანი, ასეთ მდგომარეობამდე ვიყიდა არა გაცვეთის გამო, არამედ ცუდი მოვლის შედეგად, ომის შედეგად, რომ ზოგჯერ საბინაო ფონდის ექსპლოატაციის ელემენტარულ წესებს არ იცავენ.

ამხ. ჩარკვიანს მოაქვს ის, მრავალი მაგალითი, რომ სახლთმმართველობანი და სარემონტო კანტორები უსასუხისმგებლოდ ეკიდებიან სახლების რემონტის საქმეს.

სუსტია საზოგადოებრივი კონტროლი საბინაო ფონდის მდგომარეობაზე, არსებითად არ სწარმოებს მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და სწორი ექსპლოატაციის საკითხებზე.

ამხ. ჩარკვიანი განსაკუთრებით ჩერდება იმაზე, რომ საჭიროა წესრიგი დამყარდეს წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელის მუშაობაში, რომლის უწესივრობათა გამო ანდა სარგებლობის წესების დარღვევით სახლები ძალიან ხშირად გამოუსწორებლად ზიანდება.

ამხ. ჩარკვიანმა მოაგონა პლენუმს სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილება „ქალაქებში საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ" და ხაზგასმით აღნიშნა ომიანობის დროის ვითარებაში ამ დადგენილების განუხრელად შესრულების მთელი მნიშვნელობა. კერძოდ, სასტიკად უნდა იქნას დაცული მდგმურებთან დადებულ ხელშეკრულებათა პუნქტები. საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა იმ თვითნებობის წინააღმდეგ, რომელსაც ცალკეული მდგმურები იჩენენ, გადამწყვეტი ბრძოლა სახლების საზოგადოებრივი ქონების დატაცება-განიავების წინააღმდეგ. უნდა გამოვიყენოთ დადგენილების პუნქტი იმ პირთა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად გასახლების შესახებ, რომელნიც არღვევენ საცხოვრებელი ფონდის ექსპლოატაციის წესებს, საერთო ცხოვრების წესებს, აგრეთვე ბინის ქირის ურჩ არგადამხდელთა წინააღმდეგ და სხვ.

სახლების მმართველთა კადრების შერჩევა ხდება არასაკმაოდ სერიოზულად. მათთან მუშაობა არ სწარმოებს. მმართველები, როგორც წესი, მომსახურების უწევენ 3.000 კვადრატულ მეტრზე მეტ საცხოვრებელ ფართობს, რითაც ირღვევა არსებული დებულება, ისინი გადატვირთული არიან გარეშე მოვალეობით.

ამხ. ჩარკვიანმა მოიყვანა იმის მაგალითები, რომ ძალიან ხშირად სახლის მმართველები მიმდინარე რემონტს აკეთებენ უგეგმოდ, ზოგჯერ კი დანაშაულებრივად ანიავებენ ამ მიზნისათვის გაცემულ თანხებს.

საჭიროა გაძლიერებულ იქნას სახლების მმართველთა პასუხისმგებლობა საბინაო ფონდის მდგომარეობისა და ექსპლოატაციისათვის, მოეწყოს მათი ტექნიკური სწავლება და განტვირთულ იქნან ისინი გარეშე მოვალეობათაგან.

რაიკომებმა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებმა სისტემატურად უნდა მოიწვიონ, ინსტრუქტაჟი გაუწიონ სახლების მმართველებს და ზუსტი და ოპერატიული მუშაობა მოსთხოვონ მათ.

ამხ. ჩარკვიანი შეჩერდა საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის საკითხებზე და აღნიშნა, რომ იმ სახლრების ვნიშვნელოვან ნაწილს, რომლებიც გადადებულია ამ საქმისათვის, არ იყენებენ, მაშინ როცა კაპიტალური რემონტის საჭიროება უფრო და უფრო მატულობს.

ამის მიზეზი უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები ცუდად მუშაობენ კაპიტალური რემონტის საკითხებზე. სამშენებლო მასალები გამოყენებულია არარაციონალურად და ზოგჯერ არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ, ხშირად რემონტს არ ამთავრებენ და მისი ეფექტიანობა ქარწყლდება.

ადგილი აქვს მოტყუებისა და თვალის ახვევის შემთხვევებს. ტორგენევის ქუჩაზე № 4 სახლში, ვითომდა კაპიტალური რემონტი გაუკეთეს მთელ სახლს, ნამდვილად კი მხოლოდ ერთი — მოქალაქე ცანავას ბინა შეაკეთეს. ენგელსის ქუჩაზე № 11 სახლში „კაპიტალური რემონტის" დამთავრების რამდენიმე კვირის შემდეგ კედელი გობზარა.

უნდა ვამხილოთ და სასტიკად დავსაჯოთ საბინაო-სარემონტო ორგანიზაციებში შეპარული ყალთაბანდები.

ამხ. ჩარკვიანმა გააკრიტიკა მთელი რიგი საუწყებო ორგანიზაციები, კერძოდ, თბილისი ბინა-ორგანიზაციები, ასევე მტერი ძლიერ წინააღმდეგობას გვიწევს. ადგილობრივ ორგანიზაციებს, ამ მიზნით, ეკიდებიან მათს გამგებლობაში არსებულ საბინაო ფონდს, განსაკუთრებით სასკოლო და სხვა შენობებს, რაც მათ დროებითი სარგებლობისათვის აქვთ გადაცემული.

ამხ. ჩარკვიანმა აღნიშნა, რომ აღმასკომებმა ისეთი არადეფიციტური ადგილობრივი სამშენებლო მასალებითაც კი ვერ უზრუნველყვეს საბინაო ფონდის რემონტი, როგორიც არის კირი, კრამიტი, ბაჯი, და ბეტონი, რომ ინიციატივისა და ოპერატიულობის გამოჩენით შეიძლება მობილიზებულ იქნას ადგილობრივი რესურსები და ბოგარდის საბინაო-სარემონტო ორგანიზაციების მომარაგება. საჭიროა ფართოდ გაჩაღდეს მასალების თვითდამზადება.

საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და რემონტისათვის ნაკლებად იყენებენ თვით მოსახლეობის ძალებს.

ბერიას და კიროვის სახელობის რაიონებში ზობინადრეთა ძალებით კვირაობათა მოწყობის მხრივ გამოჩენილმა თაოსნობამ ვერ ჰპოვა გამოხმაურება და იგი პოპულარიზებული არ არის. დიდ სახლებში უნდა შეიქმნას თვითმოქმედი სარემონტო ბრიგადები მობინადრეთაგან, გაძლიერდეს საზოგადოებრივი კონტროლი საბინაო ფონდის მდგომარეობასა და ექსპლოატაციაზე.

საბინაო მეურნეობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი იმითაც აიხსნება, რომ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები არ ამოწმებენ თავიანთ გადაწყვეტილებათა შესრულებას. ხშირ მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრია ყანცელარული გაჭიანურება, არასაჭირო ანგარიშგება და ცოტაა ოპერატიულობა და გეგმიანობა.

— აქედანვე, — ხაზგასმით აღნიშნავს ამხ. ჩარკვიანი,—უნდა ვემზადოთ ომის შემდგომი ფართო საქალაქო მშენებლობისათვის.

უნდა გაჩაღდეს საპროექტო სამუშაოები. კერძოდ, ქუჩების დაგეგმვის, ახალი ლამაზი და კეთილმოწყობილი შენობების დაპროექტების დარგში.

თბილისის პარტიულ ორგანიზაციებს საქალაქო მშენებლობის დიდი და ძვირფასი გამოცდილება აქვთ, რაც ამხანაგ ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით მიიღეს. ეს გამოცდილება ყოველმხრივ უნდა იქნას გამოყენებული.

ჩვენ უნდა მივაღწიოთ, რომ თბილისის ყოველი მცხოვრები თავისი მშვენიერი ქალაქის პატრიოტი იყოს და აქტიურ მონაწილეობას იღებდეს მის კეთილმოწყობაში.

უნდა მივაღწიოთ ამას, რომ სიამაყის გრძნობას აღვიძრავდეს ჩვენი თბილისის, იმ ქალაქის ყოველი ქუჩა, ყოველი უბანი, რომელსაც ესოდენ დიდი შრომა და ენერგია ვოანდომა ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ, იმ ქალაქისა, სადაც აღიზარდა და ბოლშევიკურ პარტიულ ორგანიზაციებს საფუძველი ჩაუყარა ჩვენმა ბელადმა და ხელმძღვანელმა ამხანაგმა სტალინმა.

* * *

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც შეიცავს თბილისის საბინაო მეურნეობის შემდგომი გაუმჯობესების კონკრეტულ ღონისძიებებს.

„კომუნისტის" წერილების კვალდაკვალ

„მოსავლის აღებას აჭიანურებენ"

ამ სათაურით „კომუნისტის" 16 ივლისის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელიც შეეხებოდა გურჯაანის რაიონის სოფელ კალაურის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მუშაობას.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომის მდივანი ამხ. ა. დავითაშვილი გვატყობინებს: წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. სოფელ კალაურის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში მოსავლის აღებაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის დასახმარებლად გაიგზავნა პარტიის რაიონული კომიტეტის მუშაკი. გურჯაანის მტგ-ის ხელმძღვანელ მუშაკებს გაფრთხილება მიეცათ იმისათვის, რომ მეტი დახმარება არ გაუწიეს კოლმეურნეობებს.

ნაკლოვანებანი მოსავლის აღებაში სწორდება.

„ეროვნული ერთიანობა"

საომარი მოქმედებანი იტალიაში

ლონდონი, 16 აგვისტო (საკდესი). — ლიაში მოქმედი მოკავშირეთა ჯარების ... ბი იუწყება, რომ ამერიკის მე-5 და ინ... სის მე-8 არმიების ფრონტებზე მდგომარ... არ შეცვლილა.

ავიაციის შენაერთები ეხმარებოდნენ ... კავშირეთა სადესანტო ჯარებს, თავს ... დნენ მტრის თავდაცვითს ნაგებობებს და ... კომუნიკაციო ხაზებს სამხრეთ საფრანგეთ... თავდასხმების ობიექტები იყო სანაპირო ... დაციითი ნაგებობანი, მტრის ჯარების ... მოყრა, ხიდები, აეროდრომები და სხვა ... ხედრო ობიექტები. — ავიაგამანადგურებ... იფარავდნენ მოკავშირეთა ფლოტს და პატ... ლობდნენ სადესანტო ოპერაციების რაიო...

ამერიკის ცნობა ქალაქების კანონიერი ნიცის დაკავების შესახებ

ნიუ-იორკი, 16 აგვისტო (საკდესი). — შიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ ... კავშირეებმა დაიკავეს კანი და ნიცა.

ამერიკის ჯარებმა დაიკავეს შარგრი და ორლეანი

ლონდონი, 17 აგვისტო (საკდესი). — ტერის სააგენტოს კორესპონდენტი, რომ... ლიც საფრანგეთში იმყოფება, იუწყება, ... ამერიკის ჯარებმა დაიკავეს ორლეანი. ... რიკელთა პატრულები, რომლებიც შარ... დან მიიწევენ წინ, პარიზს უახლოვდებ...

ამერიკის ავიაციის თავდასხმა გერმანიის ქალაქებზე

ლონდონი, 16 აგვისტო (საკდესი). — ... ვორც ოფიციალურად იუწყებიან, 15 ... ტოს, ამერიკის 1.000-ზე მეტი მძიმე ბომ... მშენი, ავიაგამანადგურებელთა უაღრესად ... დი შენაერთების თანხლებით, წარმატ... დასახა თავს საავიაციო ქარხნებს, ავიაგ... რების, სინთეზური საწვავის ქარხნებს, ... საწმენდ ქარხნებს და აეროდრომებს გ... ნიაში.

გაფიცვა კოპენჰაგენში

სტოკჰოლმი, 16 აგვისტო (საკდესი). — ... ციის რადიოს ცნობით, გესტაპოელების ... თერმეტი დანიელის მოკვლის წინააღ... პროტესტის ნიშნად დღეს დილით გაიფ... „ბურჰეისტერისა და ვეინის" გ... ... ვერფის მუშები, აგრეთვე კოპენჰაგენის ... რი სამრეწველო საწარმოს მუშები და მ... სახურენი.

გერმანიის ავიაბომბების დაბომბვა

ლონდონი, 16 აგვისტო (საკდესი). — ... ლიაში მოქმედი მოკავშირეთა ჯარების ... ბი იუწყება, რომ ამერიკის 1.500-2.000-მდე ბომბდამშენი და ავიაგამანადგ... ბელი წარმატებით დაესხა თავს ჭერმანე... შიდ საავიაციო ბაზას გერმანიაში, ... ნელთა ორ აეროდრომს ბელგიაში და ... —ჰოლანდიაში.

15 აგვისტოს შუადღისას ინგლისის 1.... ზე მეტი ბომბდამშენი ავიაგამანადგურებ... საფარქვეშ უაღრესად ეფექტურად ... თავს გერმანელთა ხუთ აეროდრომს ჰ... დიაში და ოთხ აეროდრომს ბელგიაში.

ინგლისის ავიაცია თავს დაესხა შვეიცარიას. კიელსა და ბერლინს

ლონდონი, 17 აგვისტო (საკდესი). — ... ლისის ავიაციის სამინისტრო იუწყება, ... 16 აგვისტოს ღამით ოპერაციებში მონაწ... ობდა დაახლოებით 1.500 ბომბდამშენი. ... რიშების მთავარი ობიექტები იყვნენ ზურ... და კილი. ორივე ნავსადგურში დიდი ხ... რები გაჩნდა. „მოსკიტოს" მარკის თ... ფრინველებმა დაბომბეს ბერლინი.

„არაკეთილსინდისიერ" კიბერელი დიკერმაჯების განვევა ბერლინში

ლონდონი, 16 აგვისტო (საკდესი). — ... დონის რადიო ემყარება შვეიციიდან მიღ... ცნობას და გადმოგცემს, რომ გერმანიის ... ზღვაო ატაშე ვალერტი და საავიაციო ... ჰაიმანი გაწვეულნი არიან ბერლინში. ... ჰოელებმა მათზე ეჭვი შეიტანეს, რომ ... მონაწილეობდნენ ჰიტლერის წინააღმდეგ ... ქმოლებაში.

მშრომელთა დეპუტატების ქალაქ თბილისის კიროვის რაიონული საბჭოს სესია

18 აგვისტოს, საღამოს 7 საათსა და 30 წუთზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის სხდომების დარბაზში დანიშნულ მშრომელთა დეპუტატების ქალაქ თბილისის კიროვის რაიონული საბჭოს მე-10 სესია.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

დეპეშები

საომარი მოქმედებების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მყოფი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობები

ლონდონი, 16 აგვისტო (საკდესი). საომარი მოქმედების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მყოფი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბმა დღეს ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მოკავშირეთა სამხედრო გემები და ხომალდები განაგრძობდნენ ჯარების გადაყვანას ლიგურიის ყურეში. ... ოპერაციები გეგმის შესაბამისად ვითარდება. კარგი ამინდის პირობებში სასწრაფოდ მოგვდის დამხმარე ძალები, ყოველგვარი სახის იარაღი და საჭურველი საფრანგეთის სამხრეთ სანაპიროზე რამდენიმე პლაცდარმის გასაფართოებლად.

ლონდონი, 16 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ მოკავშირეთა ჯარები დამკვიდრდნენ უდიდეს ხიდწინა სიმაგრეზე საფრანგეთის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. მათ ხელშია საფრანგეთის რივიერის სანაპიროს ფართო ზოლი.

ნიუ-იორკი, 16 აგვისტო (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ სწარმოებს ამერიკის ტრანსპორტების გადატვირთვა კანში, სამხრეთ საფრანგეთში.

ლონდონი, 17 აგვისტო (საკდესი). ხმელთაშუა ზღვის საომარ ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა ჯარების შტაბი იუწყება:

ჯარების გადასხმა სამხრეთ საფრანგეთის სანაპიროს სხვადასხვა უბანზე გეგმის თანახმად სწარმოებს. კვლავ მოდიან გემთა ჭარავნები მაშველ ძალებიანად. წყლები სანაპიროსთან, სადაც გემების გადმოტვირთვა სწარმოებს, თითქმის სრულიად გაწმენდილია ნაღმებისაგან.

მოკავშირეთა ჯარები სამხრეთ საფრანგეთში გაგანძრახავენ წინსვლას. მთელ რიგ პუნქტებში ისინი 17 კილომეტრზე იმყოფებიან ნაპირიდან. შეჭრის ნაწილები შეუერთდნენ საპარაშუტო ნაწილებს, რომლებიც ჩამოსხმულ იქნენ ამ ქვეყნის სიღრმეში.

მოწინააღმდეგის მთელი სანაპირო დაცვა ჩახშობილია ეფექტიანი საპაერო დაბომბვისა და ზღვიდან დაშენის მეოხებით. მოკავშირეთა ჯარების ზარალი დიდი არ არის; ამავე დროს საკმაო საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მოწინააღმდეგეს მძიმე ზარალი მოუვიდა.

ფლორენციაში ინგლისის მე-8 არმიის ნაწილები განაგრძობენ ქალაქის გაწმენდას მოწინააღმდეგის ცალკე ჯგუფებისაგან. ფრონტის მთელ სივრცეზე იტალიაში მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა.

გუშინ მოკავშირეთა ავიაცია თავს დაესხა 4 სარკინიგზო ხიდს სამხრეთ საფრანგეთში და ქვემოტო ქარხნებს ფრიდრიხსჰაფენის მახლობლად. დაბომბილ იქნა აგრეთვე მტრის ტრანსპორტი და სხვადასხვა სამხედრო ობიექტები იუგოსლავიასა, ალბანეთსა და საბერძნეთში.

მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობები

ლონდონი, 16 აგვისტო (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის დღეს გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია:

იმ ტომრის ჩრდილოეთი ფლანგის გასწვრივ, რომელშიც მოიწყვდეული არიან მოწინააღმდეგის ჯარები, ჩვენი ნაწილები განუწყვეტლივ წინ მიიწევენ, მოუხედავად მოწინააღმდეგის ცდებისა—შეაკავოს მათი შეტევა ადგილმდებარეობის დანაღმვისა და ხაფანგების მოწყობის გზით. ჩვენმა ჯარებმა, რომლებმაც გადალახეს მდინარე ნუარო რამდენიმე მილზე კონდე-ს

ერ-ნუაროს აღმოსავლეთით, შემოუარეს ამ ქალაქს. ტენშებრე დაიკავეს ჩვენმა ნაწილებმა. ჩვენმა ჯარებმა, როილებიც ტომრის დასავლეთ და სამხრეთ ფლანგების გასწვრივ უტევენ, აგრეთვე წინ წაიწიეს. დომფრონი, ეერი, ლა-ფერტე-მასე განთავისუფლებულია. ჩვენი ჯარები შეეიდნენ ივრანდში, სამ მილზე ტენშებრეს სამხრეთით. უფრო აღმოსავლეთით ჩვენი ნაწილები წინ მიიწევენ რანს იქით ჩრდილოეთისაკენ, სადაც მტერი ძლიერ წინააღმდეგობას გვიწევს. რანის სამხრეთ-აღმოსავლეთით და ალანსონის მიდამოებში ხდება ადგილმდებარეობის გაწმენდა მოწინააღმდეგის ნაწილებისაგან, რომლებიც მოწყვეტილი არიან ჩრდილოეთისაკენ შემტევი ჩვენი ჯარების მიერ.

ჩვენი ჯარები ინარჩუნებენ ქალაქ არჟანტანის ნაწილს. მტერი გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევს ამ რაიონში.

ბრეტანში მოწინააღმდეგე კვლავ ინარჩუნებს სანმალო სენ-მალოს. მტრის ორგანიზებული წინააღმდეგობა დინარში შესწყდა. მდგომარეობა ბრესტსა და ლორიანში უცვლელია.

15 აგვისტოს მძიმე ბომბდამშენების დიდი შენაერთები გადასროლილ იქნენ გერმანიის ავიაციის ძირითადი ბაზების წინააღმდეგ დასავლეთ გერმანიაში, ბელგიასა და ჰოლანდიაში. 1.900 ოთხმოტორიანმა ბომბდამშენმა ავიაგამანადგურებელთა დიდი შენაერთების საფარქვეშ იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის 21 ობიექტზე.

ჩვენი ავიაციის სხვა შენაერთებმა დაბომბეს მოწინააღმდეგის ობიექტები ჩრდილოეთ საფრანგეთში.

ავიაგამანადგურებელი - ბომბდამშენები და თვითმფრინავები, რომელთაც სარაკეტო დანადგარები აქვთ, განაგრძობდნენ ნორმანდიაში ტომარაში მომწყვდეული მოწინააღმდეგის ობიექტების დაბომბვას. მოსპობილი და დაზიანებულია დაახლოებით 35 ტანკი და 350-ზე მეტი ავტომანქანა.

ლონდონი, 17 აგვისტო (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის დღეს გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია:

ზოკავშირეთა ჯარები ავიწროებდნენ გარშემორტყმის რაკლს ნორმანდიაში და მოსპეს მოწინააღმდეგის ნაწილების ნაშთები ქალაქ ფალეზში, რომლის აღმოსავლეთით გრძელდება მძიმე ბრძოლები. ქალაქი კონდე დაკავებულია ჩვენი ჯარების მიერ. უფრო დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა წინ წაიწიეს ტენშებრეს აღმოსავლეთით, რომელიც განთავისუფლებულია, და ეერის აღმოსავლეთით. ლა-ფერტე-მასეს ჩრდილოეთით და დომფრონის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა, მიეხედავად მტრის წინააღმდეგობისა, წინ წაიწიეს დაახლოებით 6 მილით.

ბრეტანში მთლად დაკავებულია დინარის ნაგსადგური. სენ-მალოს სიმაგრის გერმანელთა გარნიზონი ინადგრძობს შეუპოვარი წინააღმდეგობის გაწევას.

ცუდი ამინდი ზღუდავდა მოკავშირეთა ავიაციის მოქმედებას ჩრდილოეთ საფრანგეთში.

ლონდონი, 17 აგვისტო (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისის, ამერიკისა და კანადის ჯარები ჩრდილოეთ საფრანგეთში ავიწროებენ ტომრიდან გამოსასვლელს ფალეზის რაიონში, იზოლაციის და მოსპობის საფრთხეს უქმნიან ბრძოლებში შებერტყილ გერმანიის ორ არმიას. 100.000-ზე მეტი გერმანელი, რომელთაც თავიანთ განკარგულებაში 1.200-მდე ტანკი და 400 მძიმე ქვეითი აქვთ, ცდილობს თავი დაიწოლოს განადგურებას.

ამერიკის მძლავრი სატანკო კოლონები, რომლებიც